აქტი №471

საქონლის მიღება-ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 6 ოქტომბერი, 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია (შემდგომში _ შემსყიდველი), ქალაქგაფორმებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მამუკა მელიქიძე, ამავე სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გიორგი ქვაჩახია და მთავარი სპეციალისტი ნოდარ მერკვილიშვილი, ხოლო მეორე მხრივ ი/მ გიორგი ჟღენტი (შემდგომში _ მიმწოდებელი) ვადასტურებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №1-2216 ბრძანების (5.10.2017) საფუძველზე, „თბილისობა 2017"-ის დღესასწაულთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიების ფარგლებში შემსყიდველმა ჩაიბარა, ხოლო მიმწოდებელმა ჩააბარა:

| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | საპატიო მოქალაქის გასაღები ხის სადგამით | 4 ცალი | 550 | 2200 |
| 2 | ძველი საპატიო მოქალაქის გასაღები ხის დასადგამით რესტავრაცია | 9 ცალი | 50 | 450 |

მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2 650 (ორი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარს.

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. თბილისი,
შ. შარტავას ქ№7
ს.ს. „სახელმწიფო ხაზინა"
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204 521 794

მიმწოდებელი:

ი/მ გიორგი ჟღენტი
მის: ქ. თბილისი,
დები იმხნელების ქ. №3, ბინა 12ა
სს „საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა№GE57BG0000000129342300
პ/ნ 01024015352

სამსახურის უფროსი
მ. მელიქიძე

ი/მ გ. ჟღენტი

განყოფილების უფროსი
გ. ქვაჩახია

მთავარი სპეციალისტი
ნ. მერკვილიშვილი

გამყიდველი ი/მ გიორგი ჟღენტი
ს/კ: 01 02 401 53 52
ბანკი: ს/ს "საქართველოს ბანკი
ა/ა: GE57 BG0000 0001 2934 2300
ბანკის კოდი : BAGAGE22

თარიღი : 5/10/2017

ინვოისი №001

| # | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | საპატიო მოქალაქის გასაღები ხის სადგამით | 4 ცალი | 550 | 2200 |
| 2 | ძველი საპატიო მოქალაქის გასაღები ხის სადგამით რესტავრ | 9 ცალი | 50 | 450 |

ინვოისი ძალაშია 5 სამუშაო დღის განმავლო

ინვოისის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი : ______________________ (ხელმოწერა)

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1–2216

"5" ოქტომბერი 2017 წ.

„თბილისობა 2017“-ის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

2017 წლის 6-10 ოქტომბერს „თბილისობა 2017“-ის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისს ეწვევიან ქალაქ თბილისთან დაძმობილებული, პარტნიორი და სხვა ქალაქების დელეგაციების წევრები, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებზე, მათ შორის, „თბილისის საპატიო მოქალაქე 2017“-ის და „თბილისზე მზრუნველი 2017“-ის დაჯილდოვების ცერემონიებზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამართულ ოფიციალურ მიღებაზე დასწრების მიზნით. ამასთან, დღესასწაულის ფარგლებში გასამართ ღონისძიებებს დაესწრებიან ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები. ზემოაღნიშნული ღონისძიებების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების და „თბილისობა 2017“-ის ორგანიზების მიზნით კომისიის შექმნის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 ივლისის N1-1573 ბრძანების, „თბილისზე მზრუნველის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 ოქტომბრის N1-2182, „თბილისის საპატიო მოქალაქის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 5 ოქტომბრის N1-2181 ბრძანებების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2017 წლის 5 ოქტომბრის N04-0117278123, 2017 წლის 12 სექტემბრის N04-01172553212, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 29 სექტემბრის N20-01172721656 წერილობითი მომართვების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2017 წლის 16 აგვისტოს ჩატარებული ოპერატიული თათბირის N28 ოქმის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭოს 2017 წლის 11 სექტემბრის N1 სხდომის დასკვნის და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 4 ოქტომბრის N01/36095 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, 2017 წლის 6 ოქტომბრიდან 2017 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, „თბილისობა 2017“-ის დღესასწაულის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები, დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების ხარჯების ანაზღაურება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამით „მერიის ადმინისტრაცია“ (კოდი 10 02) წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დავით ნარმანია

## პროტოკოლით გათვალისწინებული საჩუქრები

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ - ღვინო მუკუზანი - 75 ერთეული

შპს ბადაგი - ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები - 73 ერთეული

შპს „ბარამბო და კომპანია“ - შოკოლადის ასორტი „Discover Tbilisi” - 73 ერთეული

ნაჭრის ჩანთა - 70 ერთეული

ფოტოკატალოგი „თბილისი“ - 2 ერთეული

მხატვრული ნამუშევარი - სურათი „თბილისის ხედი“ - 1 ერთეული

მხატვრული ნამუშევარი - სურათი „კინტო“ – 1 ერთეული

წიგნი „ეს თბილისია“ ავტ. ბადრი ვადაჭკორია - 2 ერთ.

თბილისის საპატიო მოქალაქისათვის განკუთვნილი სიმბოლური გასაღები - 13 ერთეული

მედალი (მედალიონი) „თბილისზე მზრუნველი“ ხის ყუთით - 10 ერთეული

## საჩუქრები გადაეცემათ

ლიუბლიანას დელეგაციის წევრებს:

| | |
|---|---|
| 1. დეიან ჩრნეკი | მერის მოადგილე - ღვინო მუკუზანი 1 ერთ; ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები 1 ერთ; - შოკოლადის ასორტი „Discover Tbilisi” 1 ერთ; ნაჭრის ჩანთა 1 ერთ. |
| 2. მონიკა ზუპანჩ იელინჩიჩი | ლიუბლიანას მერიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსი - ღვინო მუკუზანი 1 ერთ; ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები 1 ერთ; - შოკოლადის ასორტი „Discover Tbilisi” 1 ერთ; ნაჭრის ჩანთა 1 ერთ. |

რიგის დელეგაციის წევრებს:

| | |
|---|---|
| 3. ვიაჩესლავ სტეპანენკო | რიგის მერიის გარემოსა და საბინაო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ღვინო მუკუზანი 1 ერთ; ჩურჩხელის სასაჩუქრე ნაკრები 1 ერთ; - შოკოლადის |